572
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1975 აპრილი N4

ფარაჯა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინი

ალიო მირცხულავა

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

ჩვენ ძია ლენინის
ალერსი გვსმენია,
ეიჟისით ვედებით
ველსა და მთებს,
ჩვენ დარდი არ ვიცით,
სამშობლო ჩვენია,
მარილაც ღირს ამ ქვეყნად
სიცოცხლე დღეს!

მოვდივართ! შორიდან
გვიღიმის, გვინათებს
კომუნიზმისაკენ
მიმავალ გზებს,
ნეტარი ცხოვრების
დროშას და სიმართლეს—
დიდება დიდ ლენინს,
დიდება მზეს!

ივაშკა

სერგეი ალექსეევი ნახატები რევაზ სუსქირიძისა

ლენინს ქალაქობანას თამაში უყვარდა. მარჯვედ და ზუსტად თამაშობდა. მოიქნევდა ტაფელს, ესროდა ფიგურებს და ისინიც ბეღურებივით გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით.

ერთხელ, პარკში, სათამაშო მოედანზე, ვლადიმერ ილიას ძემ ბიჭუნა შენიშნა:

— რა გქვია, ბიჭუნა?

— ივაშკა.

— მაშ ასე, ივაშკა, მოდი, ვითამაშოთ!

დაიწყეს თამაში, მაგრამ ივაშკას რა უნდა ეთამაშა—ტაფელს სულ ალთა-ბალთას ისროდა.

ვლადიმერ ილიას ძემ იმდენი ქნა, რომ მაინც მოაგებინა ივაშკას.

გაყოყოჩდა ბიჭი. სოფელში რომ ჩავიდა, მეზობლები შემოირბინა: ლენინს ქალაქობანა ვეთამაშე და მოვუგეო.

აბა, ვინ დაიჯერებდა! იცოდნენ, რა ტრაბახაც ბრძანდებოდა ივაშკა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ივაშკამ სანაძლეოც კი დადო ბიჭებთან: წამოდით და თქვენი თვალით ნახეთ, ამხანაგ ლენინს თუ კიდევ არ მოვუგოო.

დილით ბიჭებმა თავი მოიყარეს და ჯგროდ გასწიეს პარკისაკენ. ღობეში გაძვრნენ—იცოდნენ, ღობეში გასაძვრომი სადაც იყო. სათამაშო მოედანთან ზოგი ნაძვს ამოეფარა, ზოგი—არყის ხეს, ზოგი—ფიჭვს. პატარა კუზია სინიჩკინი კი ბუჩქებში შეძვრა. ბავშვები გაყუჩდნენ და სულგანაბული ელოდებოდნენ ამხანაგი ლენინის გამოჩენას.

ლენინი კი ამ დროს მართლაც სეირნობდა პარკში... სულ მალე სათამაშო მოედანზეც მოვიდა. ბიჭოს, რას ხედავს? აგერ არ დგას—ივაშკა!

— გამარჯობა, ივაშკა. ვატყობ ქალაქობანა მოგეწონა!

— ძალიან!

— რაკი ასეა, მოდი, კიდევ ვითამაშოთ!

ივაშკასაც ეს უნდოდა. გაიქცა, ფიგურები გააწყო და თამაში დაიწყეს.

ფიგურებზე პირველმა ივაშკამ მიიტანა იერიში. ერთხელ ესროლა, მეორედ ესროლა, მაგრამ ორივეჯერ ააცილა...

— არა, გეთაყვა, ასე არ გამოვა,—უთხრა ვლადიმერ ილიას ძემ,—ნუ ჩქარობ, ყურადღებით დაუმიზნე, ქვემოთ... აი, ასე.

ვლადიმერ ილიას ძემ ხელი დაავლო ტაფელს და მოიქნია. ტაფელი ერთი დატრიალდა, ჰაერი გააპო და მიზანში მოხვდა.

ბავშვებმა თავები გამოყვეს: აი, ეს იყო ნამდვილი დარტყმა!

ისევ დადგა ივაშკას ჯერი. ესროლა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ისევ ააცილა.

— ნუ ჩქარობ,—უმეორებს ლენინი და ისევ ასწავლის,—კარგია, კარგი, აი, ხომ ხედავ, კარგია-მეთქი.

მაგრამ რად გინდა! ივაშკამ ვერა და ვერ მოარტყა მიზანს. ბავშვები ყველაფერს შეხვდნენ. სინიჩკინს ბუჩქებში ხმამაღლა ჩაეცინა.

ივაშკამ ყურები ჩამოყარა. ლენინმა იმდენი ქნა, ისევ მოაგებინა ივაშკას.

მერე ბიჭს დაემშვიდობა და წავიდა.

ივაშკა ისევ გაიბღინძა:

— ხომ ნახეთ! ახლა რაღას იტყვით!

— რა უნდა ექნათ?

— უჰ, შე, ტრაბახა, შენა!—გაბრაზდნენ ბიჭები და ივაშკას ერთი-ორი წაუთაქეს.

თარგმანი **თამარ ღვინიაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსმონავტები

სულხან აბდალაძე

როგორც იქნა დამთავრდა,
როგორც იქნა გაკეთდა,
გასაფრენი მთვარეზე—
მთვარისფერი რაკეტა.
კახამ ცას რომ გახედა,
მშვიდად, დინჯად ასე თქვა:
— ამ ნახევარმთვარეზე
ვერ დაჯდება რაკეტა!

ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხული მოვიდა

ლეილა ერაძე

მთები დათოვლილები
ხელს გვიქნევენ შორიდან,
წკაპ, წკუპ,—წვიმა წკაპუნებს,
გაზაფხული მოვიდა,
გაზაფხული მოვიდა!..



მამლაყინწა

მამლაყინწამ უცებ
დაიყივლა მჭახედ:
— მივაგენი ხორბალს,
ვარიკებო, აქეთ!

მონადირე

ირინა უშვერიძე

მონადირეა გიგია,
ბიჭს—მხარზე თოფი ჰკიდია.
გაიყოლია მინდია,
ზევით—ტყისაკენ მიდიან.
თქვა:—მგლებს დავხოცავ,
დათვები
ხვალისთვის გადამიდვია.

* * *

მამამ ცხენი მომიყვანა,
მოვასკუპდი ბიჭი—გური,
მათრახს ვურტყამ და ოთახში
დავაჭენებ თქარათქურით.

ნახატები თემურ ჩირინაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრთამოტეხილი მერცხალი

გიორგი გოჩიჭაშვილი

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

გაზაფხულდა, ტყემლები და აღუბლები თეთრად გადაიპენტნენ. ვარდი და ზამბახიც აკოკრდა, სადაცაა აფეთქდებიან და ყვავილთა ნაზი სურნელით აავსებენ მიდამოს. მერცხლები ჭიკჭიკით დაფრინავენ, ნისკარტით ჩაღაბუღას ეზიდებიან და ბუდეს იკეთებენ.

ეზოში ფიცრის გრძელ სკამზე პაპა დიმიტრი ჩამომჯდარა. ჩიბუხს აბოღებს და შვილიშვილებს—მანანასა და მამუკას ძველ ამბავს უყვება.

— მერცხლები, შვილო, თბილი ქვეყნებიდან ახლა მოფრინდნენ და უხარიათ ნაცნობ კერაზე დაბრუნება. ახალ სახლს აშენებენ, მხიარულ გუნებაზე არიან.

თქვენხელა რომ ვიყავი, ჩვენს უბანში ერთი გლეხკაცი სახლობდა, ცხონებული ნიკა პაპა, მეულლე თეონაც შრომისმოყვარე და ღვთისნიერი ჰყავდა. მერცხლები გაზაფხულზე ბუდეს ნიკა პაპას სახლის აივანზეც იკეთებდნენ.

ბედნიერი ფუძე ჰქონდა მოხუცს—მის ოჯახში ვარდივით მშვენიერი და ვეფხვებივით ძლიერი შვილები და შვილიშვილები იზრდებოდნენ. ბელელი და ქვევრ-მარანი მუდამ სავსე ჰქონდა პურღვინოთი. ბერიკაცი სულ იმის ცდაში იყო, მერცხლებისათვის არაფერი ეწყენინებინა.

ერთ შემოდგომას, ჩვეულებრივ მერცხლები თბილი ქვეყნებისკენ გაფრინდნენ. მხოლოდ ერთი ფრთამოტეხილი დარჩა ნიკა პაპას კერაზე, — ფრენა არ შეეძლო. მერცხალი დანაღვლიანდა. მისი მოწყენა მოხუცსაც გადაედო. ერთხელ, დალონებულმა მეულლეს უთხრა:—რამე უნდა ვიღონოთ და, ამ კეთილ ფრინველს, თავისიანების მოსვლამდე გავაძლებინოთო.

აღგნენ და, ყველაზე დიდი ოთახი ქოთნის ყვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიღებით მორთეს. შაშვები, თუთიყუშები და ჩიტბატონები გაღიებში შეამწყვდიეს და, ის გაღიები აქეთ-იქით კედელზე დაჰკიდეს, მერე ოთახში მერცხალი შეუშვეს. ბერიკაცი ღღედაღამ ახურებდა ბუხარს. მოხუცებმა, რაღაც მაღამოებით ფრთაც მოურჩინეს. საზრდოსაც თავზესაყარად აწვდიდნენ. გაღიაში მომწყვდეული ჩიტების გაღობამ, ყვავიღთა ნაზმა ფერებმა და სითბომ გაახაღისა კუდმაკრატელა და, აჭიკჭიკდა. ნიკა პაპას საწოღი იმ ოთახში ედგა და მერცხალი ისე შეეჩვია, მოხუცის საწოღის თავზე ჩამომჯდარი ათენებდა ღამეს.

ზამთარი გავიდა. გაზაფხულზე კვღავ მოფრინდნენ მერცხლები. დიდად გაიხარეს, როცა თავიანთი ფრთამოტეხილი მეგობარი საღსაღამათი ნახეს. გარს ეხვეოდნენ, ჭიკჭიკებდნენ, თითქოს ერთიმეორეს უამბობდნენ თავიანთ თავგადასავაღს.

ზაფხული თავისიანებთან მხიარულად გაატარა იმ ფრთამოტეხილმა მერცხალმა, შემოდგომაზე კი მათთან ერთად გაფრინდა თბილ ქვეყანაში.

ის ზამთარი საბედისწერო გამოდგა ნიკა პაპასათვის—გაცივდა, რაღაც სახადიც შეეყარა და მომდევნო გაზაფხულს ვეღარ შეხვდა. შვილებმა ნიკას სურათი გააკიდეს და მისი საწოღის თავთან კედელზე ჩამოჰკიდეს.

გაზაფხულზე მოფრენილმა მერცხლებმა ჭიკჭიკით შემოუარეს ეზო-მიდამოს. ბუდეები მთელი დახვდათ, მაგრამ ნიკა პაპას თვალი ვეღარ მოჰკრეს.

ნაავადმყოფარი მერცხალი ნაცნობ ოთახში შეფრინდა. კედელზე ნიკას სურათი დაინახა და სიხარულით აყლურტულდა, მაგრამ მოხუცმა ხმა რომ არ გასცა, ჩვეულებრივად რომ აღარ მიუაღერსა, საწოღის თავზე ჩამოჯდა და მგღოვიარესავით დადუმდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ბიჭია თანდილა

ავთანდილ გურგენიძე

ორუდიდა-ვადიდა...
რა ბიჭია თანდიდა,
აივანზე გადმოძდგარა
სავარჯიშოთ ამ დიდას.
ერთი,
ორი...
ჰანტელს
ჭიმავს
მსუბუქად და ადვიდად.
ერთი,
ორი,
ერთი,
ორი...
ძვლებს ტკაცანი ადინა.
ორუდიდა-ვადიდა...
რა ბიჭია თანჯიდა.
მამიკოსთან მალადი
ქედი გადინადირა,
მშვიდ-ისარით მგლები ხოცა,
მელიები ატირა...
მდინარეში იბანავა,
ტაღლებს შხეფი ადინა,
ნაპირიდან
ნაპირამდე
გადასცურა ადვიდად.
ორუდიდა-ვადიდა...
ვინ გამოვა თანდიდა?
მონადირე?
— ნამდვადად!
მოგზაური?
— ნამდვიდად.
ადპინისტი?
— ნამდვიდად.
მეზღვაური?
— ნამდვიდად.
ორუდიდა-ვადიდა...
რა ბიჭია თანდიდ!

ნახატი მალხაზ კუხაშვილისა

აპრილია

გუგული ჯოგონიძე

ნახატები ბესო სილაგაძისა

ენძელა მზის სხივს ეალერსება, საიდანღაც წყნარი ფაჩუნი შემოესმა. ყური მიუგდო, შეამჩნია: ერთ ადგილას მიწის პირი შეტოკდა, შეირხა, ბოლოს გადაიწია და იქიდან ციურამ გამოიხედა. მერე ფაჩუნი კვლავ გამეორდა, ხან—მარჯვნიდან, ხან—მარცხნიდან და ერთბაშად ველზე თვალების ფშვნეტით ყვავილები გამოცვივდნენ: იისფერი გუგულის ცრემლები, ცხვირსატეხელა, ვარდისფერი ხოხობისმკერდა, სოსანი, ბამბიქულა...

— ჰო, მართლა, დღეს ხომ პირველი აპრილია!—გაახსენდა ენძელას და ანცობის გუნებაზე დადგა;—ჩუმად იყავიო,—გადაუჩურჩულა დოქსაწურას. ყვავილის ფურცლები დახურა და გაუჩინარდა.

— აქ თითქოს ენძელა დავინახე! — თქვა ციურამ და მიმოიხედა.

— ალბათ მოგეჩვენა, თორემ...—გამოელაპარაკა სოსანი.

— არა, ნამდვილად თვალი მოვკარი!

ყვავილებმა ველი მიათვალიერ-მოათვალიერეს, მაგრამ ენძელა ვერსად ნახეს.

— ყოველთვის პირველი გვეგებებოდა, ახლა ვის ვკითხოთ ცისა და მიწის ამბავი?— გულდაწყვეტილად ჩაჰკიდა თავი ხოხბისმკერდამ.

— გამარჯობათ, ძვირფასებო!—მიესაყვარლა მათ პეპელა მეჭინჭრია, ამობიბინებულ ბალახზე დაჯდა და წითელი, შავწინწკლება ფრთები დაკეცა.

— ენძელას ეძებთ? აქ იქნება სადმე, ხანდახან ასე იცის... ვხედავ, ჩემს წინაა... მაგრამ აი, უცებ, ცივი ქარი წაისისინებს, მზეს ღრუბლები გადაეფარება და ენძელაც დახურავს ვარდისფერ ფურცლებს, მწვანე ქურქში გაეხვევა, შეხედავ და ველარც იცნობ, ბალახი გეგონება. დღეს თუმცა მზე ანათებს, არც ცივი ქარი ქრის, მაგრამ ნამდვილად ვიცი, დაგემალებოდათ.

— რატომ უნდა დამალულიყო?—გაიკვირვეს ყვავილებმა.

— მეჭინჭრია, ჩემკენ მოიწიე და გეტყვი...—ჩაიღიმილა დოქსაწურამ და უცბად ჯამისებურ ფოთლებში მოგროვილი წვიმის წყალი პეპელას თავზე გადმოასხა:—დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია!— დააცანა თან.

— ეს რა ჩაიდინე, ბუძგატა?! იწყინა მეჭინჭრიამ,—ხომ იცი, წყალი საშინლად მძულს.

— ჰა, ჰა, ჰა!—გაისმა ამ დროს კისკისი და ყველას ცხვირწინ ენძელამ საბურველი შემოიხსნა,—დაგავიწყდათ, დღეს ხომ გაბრი-

ყვებულთა დღეა?! მოდით, ვითამაშოთ.

— კარგი,—დათანხმდნენ ყვავილები.

— ჩუმად! — დაუძახა ციურამ, — პეპლები მოფრინდნენ, დავიმალოთ.

ყვავილებმა კაბები შეიკეცეს და ბალახებში მიიმალნენ. პეპლებმა ველზე ყვავილები რომ ვერ დაინახეს, გუნება წაუხდათ:

ციურამ ველარ მოითმინა და აკისკისდა:

— სულელებო, რა ფრთები ჩამოყარეთ, დღეს ხომ პირველი აპრილია?!

— მოგატყუეთ, მოგატყუეთ!—თავი ასწია სამყურამაც.

მზე თვალებგაფართოებული ჩამოსცქეროდა ყვავილებს და უცებ თვითონაც ცელქობა მოუნდა.

— მეც მათამაშეთ!—ჩამოსძახა მათ. ყვავილები გაისუსნენ. ვერ გაებედათ, თუნდაც ხუმრობით გაებრიყვებინათ მნათობი.

— რას გაჩუმდით?!

— ჩვენ ცრუპენტელობანას ვთამაშობთ...

— მერე რა, მეც ვითამაშებ.

ისევ პეპლებმა შებედეს:

— მაშინ ჩვენ დაგემალებით და მოგვძებნე!

— დავიწყოთ!—გაილიმა მნათობმა.

ჭრელმა პეპლებმა ველი მოიფრინეს და გაუჩინარდნენ. მზემ ირგვლივ ყველაფერი მიათვალიერ-მოათვალიერა, სად არ შეიჭყიტა, მაგრამ პეპლები ვერა და ვერ იპოვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ბზზ-ზზ! — აბზუილდნენ ყვავილის ბუზები:

— დავიმალებითო... როგორ გაბედეს მნათობის მოტყუება? არსადაც არ დამალულან... ლენტურა ეგერ იმ ხეზეა, როცა უნდა, რომ ვერავინ დაინახოს, დაკეცავს ლურჯ ფრთებს და თუ ბიჭი ხარ მიხვდი, ხის ქერქია თუ პეპელა!

— აგე, აგე, ხვარატიც! ოღონდ ეს ძირს დაგდებული ფუტურო ხის ანაფცქვენი გეგონება.

ბუზები, ალბათ კიდევ რამეს წამოიბზუვლებდნენ, მაგრამ პეპლები წამოფრიალდნენ:

— მოგატყუეთ, მზეო, მოგატყუეთ!..

უცებ მნათობი ღრუბელს ამოეფარა და გაუჩინარდა.

— ვაი, ხომ არ ეწყინა?—შეცბუნდნენ პეპლები, შეშფოთდნენ ყვავილები.

— ბზ... ზზ!—აბზუილდნენ ბუზები,—ეგეც თქვენ, მაშ რა გეგონათ?!

გავიდა ერთი წამი... ორი...

— ჭიტა!—გამოიჭყიტა მზემ—დღეს პირველი აპრილია!..

— უჰ!—ამოისუნთქვს ყვავილებმა.

დიდხანს,—დიდხანს თამაშობდნენ ველზე...

— აპრილია, აპრილია!..—იძახდნენ და კისკისებდნენ პეპლები, იცინოდნენ ყვავილები და... იცინოდა მზეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. რუსნაკი
მოლდავეთი

ყვავილები

— ვარდო შენი ყვავილი
მომეცი დედისათვის!

ტიტავ, შენი ყვავილი
მომე ჩემი დისათვის!

ტეის ეაეახოვ, ყვავილი
ბიძვენ ჩემი ძმისათვის!

თაიგულს გთხოვ, ბალნარო,
შეობელი ქვეყნისათვის!

თარგმნა **თეიმურაზ ჯანგულაშვილმა**

ლახტი

ქ. გოგიაშვილი

გაზაფხულის სიო დაბერის,
მზეს დაუდგამს ოქროს ტახტი,
ბიჭებს ერთი ეიჟინა აქვთ:
— აბა, ლახტი, ჩქარა, ლახტი!
რას დამდგარხარ აბუზული,
მოშხვდურს, ბიჭო, მაგრად დახვდი,
აუქროლე, ჩაუქროლე,
აქეთ გახტი, იქით გახტი.
გაზაფხულის მზე იცინის,
დაბრძანდება ოქროს ტახტით:
— ითამაშეთ, გაისარეთ,
გაგიკაჟებთ კუნთებს ლახტი!

ნახატები **გიორგი როინიშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუთისოფლის დასასრული

ქამო შარმაზიანი

ზღაპარი

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

ცხოვრობდა ერთი ძუნწი, გულხარბი და ბოროტი მეფე. ისეთი უჭკუო და თავკერძა ვინმე იყო, ქვეყანა ერთიანად გააპარტახა და გაავერანა, სულ თავისკენ ითლიდა...

ერთხელ ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს:

— სასახლის მისანს რაღაც შეუტყვია და არ ამხელსო.

განრისხდა მეფე:

— ახლავე მომგვარეთ არამზადა მარჩიელი! ენას ამოვადგმევინებო!..

მოხუცი მისანი ორმა აყლაყუდა კარისკაცმა დარბაზში შემოათრია.

— ახლავე მომახსენე რა იცი, თორემ მაგ ყეყეჩ თავს წაგაცლიო!—უბრძანა მეფემ.

— დიდო მეფეო,—ხმის კანკალით მოახსენა ბრძენმა,—ძალიან მიმძიმს საშინელი ამბის გამხელა, არც თქვენთვის არის სასიამოვნო.

მოთმინებაგამოლეულმა მეფემ დასჭყივლა:

— კმარა, თუ სიცოცხლე რაიმედ გიღირს, ახლავე დაფქვი, რაც იცი, თორემ...

მოხუცი მოწიწებით მიეახლა მეფეს და ყურში ჩასჩურჩულა:

— გუშინ საღამოს, ჩემს სენაკში, იდუმალმა ზეციერმა ხმამ მაუწყა, რომ გაის ამ დროს, ასკილის ყვავილობისას, წუთისოფლის დასასრული დადგებაო.

მეფე შეკრთა, გახევებული მიაშტერდა ბრძენ წინასწარმეტყველს.

— არ ხუმრობ, მოხუცო?

— რა ვქნა მეფეო, ასეთია ზენაარის ნება და მის სურვილს უბრალო მოკვდავნი წინ ვერ აღვუდგებით!

— დავღუპულვართ!—სასოწარკვეთით წამოიძახა მეფემ.

— ვაგლახ, რომ ასეა! მაგრამ ერთი საშველი მაინც არის.

— რა საშველია?!

— დიახ, მეფეო, ხსნა მხოლოდ ერთშია! უხვი და კეთილი ადამიანი სამოთხეში მოხვდება, ხოლო ძუნწი და ბოროტი—ჯოჯოხეთში.

ჯოჯოხეთის ხსენებაზე მეფეს ჭირის ოფლმა დაასხა. მის სახელს ხომ დაჩაგრული, გაძვალტყავებული ხალხი დღენიადაგ წყევლა-კრულვით იხსენიებდა.

„ჯოჯოხეთი არ ამცდება! რაღაც უნდა ვიღონო,"—გაუელვა თავში ცრუმორწმუნე მეფეს.

საგონებელში ჩავარდნილმა ბევრი იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, ისეთი რამ გაეკეთებინა, სამოთხეში მოხვედრის უფლება მაინც მოეპოვებინა.

იმ დღიდან მოსახლეობას მოხსნა მძიმე ხარკი და ბეგარა, გამოსცა კანონები ხალხის საკეთილდღეოდ, ღარიბ-ღატაკები უხვად დაასაჩუქრა, ბოროტი და უსამართლო მემამულეები და ვაჭრები მკაცრად დასაჯა.

მოკლე დროში მისი ქვეყანა აყვავდა და აშენდა, ხალხმა ბედნიერი ცხოვრება დაიწყო.

მეფემ ყველას პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ამასობაში მოახლოვდა განკითხვის ჟამიც.

მეფემ გადაწყვიტა წუთისოფელს სიმთვრალის ბურანში გამოთხოვებოდა და დილიდანვე უხვი ნადიმი გამართა. გააღებინა ალაყაფის კარი და ბრძანა, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელი სასახლეში მიეწვიათ. რა თქმა უნდა, მეფემ არც ბრძენი წინასწარმეტყველი დაივიწყა და დასაპატიჟებლად მსახური გაგზავნა.

ის იყო ხელმწიფეს ღვინით სავსე თასი უნდა დაეცალა, რომ დარბაზში გაფითრებული მსახური შემოვარდა:

— დიდო მეფეო, მოხუცი ბრძენი თავის სენაკში მკვდარი დამხვდა...

„მაშასადამე უკვე დადგა წუთისოფლის დასასრული". გაუელვა მეფეს და შეძრწუნებული მიცვალებულის სანახავად გაემართა.

ნათელ ოთახში, ნოხგადაფარებულ ტახტზე, ჭაღარათმიანი, სათნო სახის მოხუცი ესვენა. იქვე ბარათი იდო. მეფემ ბარათი აიღო და წაიკითხა:

«დიდებულო ხელმწიფევ! დრო მოვიდა და დადგა ჩემი აღსასრულის საათიც. ჩემთვის დღეს წუთისოფელი მართლაც მთავრდება, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის. მე რაც შემეძლო ჩემი ხალხისთვის, ის გავაკეთე, თქვენში მოვკალი ბოროტი და ძუნწი ადამიანი. ახლა, როცა თქვენი სიკეთის წყალობით ქვეყანა აყვავდა და ხალხიც გაბედნიერდა, ამით თქვენ სიცოცხლეშივე სამოთხეში მოხვდით».

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილა

ირაკლი გოგოლაური

დეკიანში მთის კალთაზე,
ვაბალახებ ბოჩოლასა,
სანავარდოდ ლაღად ფრთები
გაუშლია ტოროლასა.
— ლექსს არ იტეკი?
— როგორ არა,
ვიტეკი თითო-ოროლასა!

კურდღლის დარდი

ბიძებს მივართვი სტაფილო,
სერს იქით, ზემო უურესო,
მიკვნიტ-მოკვნიტეს, შეჭამეს,
მერე კი დამიწუნესო.
ჩემთვის მქონდა, რა მრჯიდა,
იქ რომ მიმქონდა სულელსო!—
ასე ბურდღუნებს კურდღელი,
თან ულვაშს აცმაცუნებსო.

ნახატები **ედუარდ ამბოკაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანზორ აბულაძვილი

ნახატი **თემურ ჩირინაშვილისა**

თავისი ნებით შეება
ეტლში—ეს ორი კალია,
ჰეჰელა გასლავთ მეეტლე
და მგზავრი—ჭიამაია.

ვინც კი შემოხვდათ გზა და გზა,—
ღიმილი ვერვინ დამალა.
სიცილ-კისკისით მოჰყვება
ეკავილთა ჯრელი ამალა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა

ჭაღებზე რომ ნათურები
ვარსკვლავებად ანთია,
ერთზე—სამჯერ ოთხი გახდავს,
მკორეზე—ათია.
რამდენია ყველა ერთად,
მიპასუხე, ნათია!

შოთა ამირანაშვილი

ლელა

გიორგი მეგრეველი

აბა, დელი დელასაო,
დამიხედეთ ლელასაო,
ერთი ციდა გოგო არის
გვირჩევნია ყველასაო.
კაბას თვითონ იუთოვებს,
დამხმარეა დედისაო,
თოჯინებს რომ მიაძინებს,
ეტყვის—ძილი ნებისაო!



მუსიკა მერაბ მერაბიშვილისა

ლექსი მირონ სურგულაძისა

პაწაწინა ეკა

შემოფრინდა მერცხალი,
ფრთებით ცას გაეკრა,
ესალმება ჭიკჭიკით
პაწაწინა ეკას.

გაზაფხულის ყვავილი—
ენძელა და ია,
ეკა მომიკითხეო,
უჩურჩულებს ნიავს.

ნუშმა თეთრი ყვავილით
გაულიმა დილას
და ბულბული ბალჩიდან
ეკას უმღერს ტკბილად.

შემოფრინდა მერცხალი,
ფრთებით ცას გაეკრა,
გადმოსძახა ჭიკჭიკით:
ეკა, ეკა, ეკა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსატეხი







შეავსეთ ფერადი უჯრედები საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ფერად უჯრედებში მივიღოთ პირველი კოსმონავტის სახელი და გვარი.

შეადგინა წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯგალის საშ. სკ. მოსწავლემ
ლუარა ხარჩილავამ

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: ალუპარი გოგიბაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, იმრამ ქემერტელიძე (პ/მგ მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხ. რედაქტორი), რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის **რესპუბლიკური** საბჭოს ჟურნალი. ყდაზე ნახატი **ზურაბ ალანიაძისა**
გამოცემის 48-ე წელი.

ტექრედაქტორი **ბ. როინიშვილი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, **სტამბის**—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. **რედაქტორის**—93-41-30, 93-98-15, პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. **რედაქტორის** —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 24/I-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/II-75 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/16 ფიზ. ნაბ. ფურცელი 2ნ, ტირაჟი 159.700 შეკვ. № 340. „Дила" № 4. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

76055